№ 154

სამშაბათი, 18 ივლისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 154

სამშაბათი, 18 ივლისი, 1900 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲡ:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

Тбилисский филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

1170

ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲔᲔᲑᲘ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔᲜᲘ ᲢᲝᲠᲘᲒᲝᲜᲝᲕᲔᲑᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲕᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘᲡᲐ, ᲛᲐᲠᲗᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲔᲚᲔᲤᲗᲔᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲝᲒᲜᲘᲔᲕᲘᲡᲐ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ 15 ივლისს, განჯის გუბერნიის დაბა დელიჟანში, პირველი—საყვარელის შვილის, მეორე—ძმის, მესამე—შვილის-შვილის, ხოლო უკანასკნელნი—ძმისწულის კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის

## ივანე თეოდორეს ძის ძმმმ-ნიევისას

და სთხოვენ მობრძანდნენ 18 ივლისს, დილის 8 საათზედ, ნავთლუღის სადგურზედ გარდაცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ და საწირვლად. ნავთლუღიდგან გარდაცვალებულის გვამი წასვენებული იქმნება პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკკლესიაში, რომლის გალავანშიაც დაკრძალავენ. (1—144—1)

ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲚᲣᲙᲐ ᲛᲐᲗᲔᲡ ᲫᲔ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ, ᲔᲚᲔᲜᲔ, ᲡᲔᲠᲒᲔᲘ, ᲐᲠᲙᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲚᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲜᲘ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

## ილია ლუკას ძის ბახტაძის

გვამის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზედ, დაბა ხონში. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ. (3—მ.—1)

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. სიფილისი, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

Უ. მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ᲑᲐᲒᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12½—1½ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ჰ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Павасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

ᲓᲘᲚᲘᲗ:

ვ. ი. ᲩᲘᲩᲘᲜᲐᲫᲔ.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. ᲞᲝᲙᲠᲝᲕᲡᲙᲘ—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

მ. გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. ᲛᲐᲠᲙᲔᲛᲘᲩᲘ—12½—1½ საათ. საფოსტაქრო.

ი. დ. ᲒᲔᲒᲗᲐᲒᲔᲒᲝᲕᲘ—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

დ. ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

ი. ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ

## ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

იწვევს მსურველთ სენაკის მაზრის სასოფლო გამგეობებში ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲖᲔᲓ ᲓᲐᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ. საქმის მწარმოებელს საზოგადოებისაგან ჯამაგირად ეძლევა 300-დგან 400 მანეთამდე.

მსურველი ახალ სენაკში სამაზრო გამგეობაში უნდა გამოცხადდეს, ან მან თხოვნა უნდა გამოგზავნოს. თან თხოვნას მოწმობებიც უნდა ახლდეს ვინაობისა, კეთილ-საიმედობისა და წინანდელ სამსახურის შესახებ. (5—ნ.—2)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ᲜᲐᲡᲘᲫᲔ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ Ქ. ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲨᲘ.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—10)

## ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

## ვ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

# ახალი ამბავი

*** პარიჟში მცხოვრებ ქართველებისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ჩვენის მოღვაწის ილია ბახტაძის უდროოდ გარდაცვალებასა დიდადა ვწუხვართ. პარიჟის ქართველები“.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად ალექსი ბესარიონის ძე ჰიჭინაძე დაუნიშნავს. ბ-ნ ჰიჭინაძეს როგორც ამბობენ, უკვე განუცხადებია თანხმობა.

*** ამ ბოლოს დროს რუსეთის მთავრობა ძალიან ბევრსა სცდილობს ამერიკულ ვაზის გავრცელებისათვის. ამ აზრით ამ ვაზის სანერგეებს აარსებს. დღემდის მთელს რუსეთში სამი სანერგე არსებობდა: ერთი ქუთაისის გუბერნიაში—სოფ. საქარას, მეორე—ტფილისის გუბერნიაში და მესამეც ბესსარაბიის გუბერნიაში. ეხლა აზრადა აქვთ ასეთივე სანერგეები შავის-ზღვის პირის გუბერნიაშიაც დააარსონ.

*** აზრადა აქვთ პეტერბურგში დააარსონ სასწავლებელი რუსეთის

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲜᲘ ᲜᲐᲨᲗᲜᲘ

„Да! еслибы всѣ слезы, кровь
и потъ,
пролитые здѣсь...
Изъ нѣдръ земныхъ всѣ высту-
пили вдругъ,
то былъ-бы вновь потопъ“.

Пушкинъ

ყველაზედ ცრთნაირად არა ჰმოქმედობს ხილვა ისტორიულ სიძველეთა. სულით გამხნევება ამ გვარ თვალიერების დროს წარმოუდგენელია ამა ნაშთებთან შეკონწიალებულ ისტორიულ ამბავთა შეუგნებლად. ამიტომაც ბევრჯელ მგზავრი გულცივად უხვევს გვერდზედ წარსულის დიდებულ საქმეთა, აზრსა და სიტყვებს, სტილისტიკაში გამოქანდაკებულთა, მისთვის იეროგლიფებ მუნჯ-ყრუდ ყოფილთა. ან რა პატივი უნდა სცეს ამან წარსულ საუკუნეთა სიწმიდეთ, საოცრებას ხელოვნებისას, გინდ მათ გარს მყოფ მომხიბლავ ბუნების სიდიადე და მდებარეობის სიმშვენიერეს?! ამასა ჰგრძნობ, როდესაც კიდით-კიდემდე ათვალიერებ მივიწყებულ და აქამომდე უცნობ ნანგრევებს ჩვენის ქვეყნის უშველებელ მხარისას, „სადაც ძველთაგან სიცოცხლე სდუღდა, სად მამულისთვის ქართვლის ხმა ჰქუხდა“!.. უწინ ეს მხარე ორს დიდს საერისთაოს შეადგენდა, დღეს-კი სავსეა ისტორიულის ნაშთებით, ნაოხრებით, ნახარ ტაძართა და კოშკთა ზედა მრავალ წარწერებით, მხოლოდ ყველა ამას დაჰპატრონებიან უცხო ტომის ხალხნი, რომელნიც ანგრევენ აქაურობას, ჰსპობენ ისტორიულ სახელწოდებათ, ჰნთქავენ წარწერათა და ჩვენ-კი ვდუმთ... სიდიადე აქაურ ბუნებისა, სიდიადე აქ მომხდარ ისტორიულთა ამბავთა, სახელწოდებანი აქაურ ნანგრევთა უნდა ღაღადებდნენ ჩვენ შორის. ყველასათვის საჭიროა მათი ცოდნა და სამარცხვინოა მივიწყება... ნანგრევები და ნაოხრები—სხვა არა გხვდება რა ამ ამოწყვეტილ მხარეში... მაგრამ მარტო აქ რომ იყოს ნანგრევები!!. სავსეა მთელი უწინდელი მესხეთი, კოლა, არდანუჯი, ლაზისტანი, შავის ზღვის ნაპირები მთლად არზრუმამდე!.. კოშკნი, ციხენი, მათზედ წარწერანი და კვლავ ნანგრევები გითვალისწინებენ საქართველოს მატიანეთა შავ-ბნელ ფურცლებს მე-XIII საუკუნიდგან დაწყებული უკანასკნელ ხანამდე. იმ მიზეზებს, რომელთა წყალობით ათ მილიონზედ მეტი ერი ერთ მილიონზედ მიიყუნწა, მურმან ყრუ, ჰიჰუმი, ჩინგისყაენი, ლანგ-თემური, ორი შახ-აბაზი, ალა-მამად ხანი, მოურავი სააკაძე, ახალციხის ფაშობა, შინაურ ოხრობის გამო ძმა-ძმის სისხლის ღვრა, ყმათა ყიდვა, სხვათა ქვეყნებში ჩვენდა ვაჟკაცთა სისხლის ღვრა, ძალდატანებითი და უგუნური თვით-მნებლობით გარდასახლებანი სხვათა ქვეყნებში, აი საშინელი სურათები, რომლებიც თვალ-წინ ლანდებსავით სცვლიან ერთი მეორეს, როდესაც ნაოხრებით სავსე ადგილზედ სდგამთ ფეხს...

გამოჩენილმა ევროპის პუბლიცისტმა ბერნემ, როცა ცენზურამ საქმე გაუჭირა, მეტი ვეღარა იღონა-რა წაშლილ სტრიქონების მაგიერ სამკუთხიანები გაამწკრივა... ცენზურამ ესეც აღუკრძალა, მაშინ მან მწარედ წარმოსთქვა: „განა ჩემთა გარდაცვალებულთა სამარეებზედ საფლავის ქვების დაწყობასაც მიშლით, რომ საუკუნო ვყო მათი ხსენება“?!—აი ასეთი მზრუნველობა მაინც უნდა დავაკუთვნოთ ჩვენთა მამა-პაპათა ნანგრევებს...

ქართლოსის ორ ძესა გაჩიანსა და გარდაბანსა ჰხვდათ წილად ეს მხარე. გაჩიანს ჰხვდა მდ. მტკვრიდგან დაწყებული ტაშირამდე, ბანბაკამდე, ალბაბამდე და მდინარე დებედამდე; მას ზემოდ თრიალეთი, სკვირეთი და საბარათიანო ჰხვდა გარდაბანს. მათ შუა საზღვრებად იყო: ლელვარისა, ჰაპლანისა, ბოლნისისა და შულავერის მთები. პირველში საერისთაო ქალაქად იყო გაჩიანი, გაჩიანისავე აღშენებული მდ. ხრამის პირს, სადაც მას ერთვის მდ. მაშავერა. ეხლა აქ უზარ-მაზარი ნანგრევები-ღა მოსჩანს. მის დაქცევის შემდეგ სამშვილდე შეიქმნა საერისთაო ქალაქად.

გარდაბანის საერისთავო ქალაქად ხუნანი იყო. ხუნანს, ანუ მტკვრის ციხეს ეხლა გატეხილ ხიდს ეტყვიან. ხშირად ამ მხარეს ქვემო ქართლს უწოდებდნენ, სივრცით ეს თითქმის აჭარბებდა ზემო ქართლს და ისაზღვრებოდა მისაგან: ჯამ-ჯამის, ლოკვნის, კლდე-კარის და ერჯევნის მთებით (ეხლა ბორჯომის მთებს უწოდებენ) და აგრეთვე ვერის ხეობით. ვერის ხეობიდგან გატეხილ ხიდამდე აღმოსავლეთის მიჯნად ამ მხარისა იყო მდ. მტკვარი, უწინ-კი გლდანი, მარტყოფი და ლილოც გარდაბანის საერისთაოს ნაწილად ითვლებოდა.

შევუდგები რა კერძო განხილვას ამ შესანიშნავ და აწ დავიწყებულ მხრისას, მე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას აქ მომხდარ ისტორიულ ამბებს, მდებარეობის ძველ და აწინდელ სახელ-წოდებათ, აწერ აქ მყოფ ისტორიულ ნაშთებს და ამასთან არ დავივიწყებ აწინდელ მდგომარეობას მხარისას ეტნოგრაფიულ, გეოგრაფიულ და ეკონომიურის მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზაზედ მოსამსახურეთა ობლებისათვის.

*** ამას წინად სამოსწავლო ოლქის უფროსებმა საერო განათლების მინისტრის საყოველთაო ბრძანება მიიღეს. მინისტრი ამ საყოველთაო ბრძანებაში ყურადღებას აქცევს რა იმ გარემოებას, რომ დიდ ქალაქების საშუალო სასწავლებლებს იმდენად ბევრი ახალგაზრდობა აწყდება სწავლის მისაღებად, რომ პარალელური კლასებიც-კი ყველას ვერ იტევს, ავალებს მზრუნველებს შეუდგნენ ხოლმე იმის განხილვას, საჭირო და სასურველია თუ არა ახალის საშუალო სასწავლებლების დაარსება ასეთ ქალაქებში და თავიანთი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე სამინისტროს.

*** „ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას 240 მანეთი სტიპენდია დაუნიშნია ზ. ფალიაშვილისათვის, რომელიც კონსერვატორიაში აპირობს შესვლად. ამ ზაფხულს ბ-ნ ფალიაშვილს საზოგადოების გამგეობა ქართლ-კახეთში ჰგზავნის სიმღერების გადასაღებად.

*** ამ დღეებში ტფილისიდგან უკვე გაემგზავრა სამზღვარ-გარეთ აგრონომი თავ. ივ. ანდრონიკაშვილი, რომელიც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ იქმნა გაგზავნილი.

*** ხილისა და ჭაჭის არაყისა და აგრეთვე რუსული კონიაკის გაკეთებისა, შენახვისა და გაყიდვის შესახებ ფინანსთა სამინისტროს ახალი წესები შეუმუშავებია.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ვარშავის ფაბრიკის ერთი წარმომადგენელი, რომელმაც თან ჩამოიტანა სრულიად ახლად გამოგონილი იარალი მატყლის დასამუშავებლად, საჩეჩი და საქსოვი იარაღები და სხ. რომ უფრო ადვილად გავრცელდეს ეს იარაღები ცხვრის პატრონთა შორის, წარმომადგენელს განზრახვა თურმე აქვს „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ დახმარებით ყველგან დაარიგოს თითო-ოროლა იარაღი, სადაც კი ხალხი მეცხვარეობასა და მატყლის დამუშავებას მისდევს.

*** ებრაელების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოთ შაბათ სალამოთი დაეხურათ ხოლმე ებრაელ ყასბებს საკლავი, გუბერნიის უფროსს, ბ-ნს სვეჩინს შეუწყნარებია.

*** ამ ჟამად ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნის რობის დროებით მოადგილედ ინჟინერი მარშოა დანიშნული, რომელსაც უნდა მიჰმართონ ხოლმე მსურველთ.

*** აგვისტოს ნახევარში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ა. ს. ერმოლოვს კისლოვოდსკში მოელიან. მინისტრს აზრადა აქვს კურორტების საქმე როგორმე უკეთ იქმნას მოწყობილი.

*** სამეითალო სამმართველოს გამგეს ბ-ნს პეშტიჩს ამ დღეებში მოელიან.

*** ტფილისში მოელიან ინჟინერს ნ. ა. პეტროვს, რომელიც კავკასიის წყალთა ინსპექტორად იქმნა დანიშნული.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს საკომლო მიწების რაოდენობის გარდაწყვეტისა და კავკასიაში საადგილმამულო სამუშაო საქმეთა შესახებ წესდების პროექტი შეიმუშაოს სახელმწიფო საბჭოში წარსადგენად. ამ პროექტშივე იქმნება შეტანილი ის, თუ რაოდენი ტყე უნდა ექმნეთ მიცემული და რა გარდაჰხდეთ გლეხებს ტფილისისა, ბაქოსა, განჯისა, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიაში.

*** რადგანაც ამ წელს სპარსეთში ბრინჯის მოსავალს საკმაოდ კარგი პირი უჩანს, მოსალოდნელია, რომ სპარსეთის მთავრობამ ხელ-ახლად დაჰრთოს ნება სპარსეთიდგან ბრინჯის გამოტანისა და ბრინჯის ფასმა დაიწიოს.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გზათა სამინისტროში ამ შემოდგომაზედ შეუდგებიან იმის განხილვას, თუ რამდენად საჭიროა რუსეთის რკინის გზებზედ საელექტრო ტეხნიკო სკოლები და სასწავლებლები იქმნას გახსნილი. პროგრამის შემუშავებას ამ სკოლებისათვის უკვე შეუდგნენო.

*** რედაქციამ მიიღო VI № ჟურნალ მოამბისა. შინაარსი: 1, ნაკარდობა —XV—XIX.—ნაწილი მესამე.—მოთხრობა მელანიასი (დასასრული); 2, დამონებულნი.—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა,—დასკვნა—I—XV.—თარგმანი თ. ს.—სი (დასასრული; 3, „ქე“!... (სურათი) შ. არაგვისპირელისა; 4, გრაზიანა.—რომანი იტალიის ცხოვრებიდან ე. გრაციაბასა, ნაწილი მესამე.—III.—თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (გაგრძელება); 5, საქართველოს მეფეთა ბრძანებანი.—I—XV.—ალ. ყ—ძისა; 6, ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში.—ივ. ჯავახიშვილისა (დასასრული); 7, „ცხოვრება და ხელოვნება“.—ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“, კიტა აბაშიძისა (დასასრული); 8, თომა ჰუნრი ჰექსლი.—(ბიოგრაფიული დახასიათება), შ. სურგულაძისა; ქრონიკა; 10, შინაური მიმოხილვა.—ციმბირში გადასახლების მოსპობა,—ორი უმაღლესი ბრძანება 6 მაისს 1899 წ. და 13 ივნისს 1900 წ.—რეფორმის ნაკლულებანი.—გადასახლების მაგიერი სასჯელი.—საპატიმროთა მდგომარეობის გაუმჯობესობის საჭიროება.—ქართველი მოზარდი თაობა გიმნაზიებში—ტფ. სათავად-აზნაურო სკოლაში გუ-ის-დამთავრებულნი.—საჭირო შუამდგომლობა.—ლალისა.

*** ღ. ოჩამჩირე (აფხაზეთი) 9 ამ თვეს სცენის მოყვარეებმა ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს აქ. წარმოდგენილი იყო ქართულად: „ადვოკატთან“ კომ. 1 მოქ. ვ გუნიასი და „დატრიალდა ჯარა“ 1 მოქ. კომ. გ. ყიფიანისა და რუსულად: „Букетъ“ და „Въ тихомъ уголку“ თითო მოქ. კომედიები. წარმოდგენამ ჩაიარა კარგად და საზოგადოებაც ბლომად დაესწრო. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ქ-ნი მაკრინე თურქია, რომელიც სოხუმიდგან გვესტუმრა.

*** ქუთაისი. 12 ივლისს ქუთაისის მახლობლად, პატარა მდინარის რუას ნაპირზე, საშინელი და საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ვიღაც სვანიძეს მოუკლავს თავისი ცოლი. როგორც აქ ლაპარაკობენ, ქალი კარგა ხანია მოშორებია ქმარს და ბაქოში უცხოვრია. ქმარს ამ ერთი კვირის წინად ცოლი დაუპატრებია, ვითომ ავადმყოფის შვილის სანახავად, რომელიც მამის ოჯახში ყოფილა. როცა ქუთაისს გასცილდებიან და სოფელს მიახლოვებულან, ქმარს გზაზე, ერთის კლდის მახლობლად, ცოლისათვის თავში ხანჯალი დაუკრავს და შემდეგ ამ კლდეზე გადუგდია, რომ კლდეში ჩავარდნა. მაგრამ ქალი რაღაც სასწაულით ცოცხალი გადარჩენილა. ეს რომ გამხეცებულ ქმარს შეუნიშნავს, გამოქცეულა და კლდეში დასწევია; აქ რუას ნაპირზედ სასტიკად და შეუბრალებლად უწვალებია: ჯერ ცხვირი მოუჭრია ქალისათვის, შემდეგ ყურები, მერე თმით უთრევია და თან ხანჯლით უჩხვლეტია. ვიდრე ქალს სიცოცხლის ნიშნები კიდევ ჰქონია. ბოლოს ქმარს თითონ გამოუცხადებია პოლიციისთვის, რომ ყველაფერი ეს მე ჩავიდინეო. მკვლელი პოლიციას შეუპყრია, და გამოძიება სწარმოებს. აქაური საზოგადოება საშინლად არის აღშფოთებული ამ საზიზღარის მკვლელობით.

*** ამ დღეებში ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სპარსეთის ქვეშევრდომს უსეინ აზიმოვს 13 ივლისს მისი სახლიდგან მოპარეს ვიღაც ბოროტ განმზრახველთ ფულები და სხვა-და-სხვა ვერცხლისა და ოქროს ნივთები სულ 366 მან. ეხლა როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ქურდი ქალაქ ერევნის მცხოვრები აბას-სადიხ-ოღლი ყოფილა, რომლისთვისაც სოფელ შულავერში მოუსწრიათ და დაუჭერიათ. სადიხ-ოღლის მოპარულ ნივთებიდგან აღმოსჩენია ვერცხლის საათი, ოქროს საათი ძეწკვით, 29 ფირუზი და ფულად 69 მანეთი, რომელნიც უკვე დაუბრუნდა პატრონს.

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. დიმი (ქუთაისის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრებს, აზ. აგაბო ჩინჩალაძეს, პირველ ივლისს მუშები ჰყავდა სიმინდის დასამუშავებლად; მოგეხსენებათ, იმერეთში ჩვეულებადა აქვთ მუშას კარგი მასპინძლობა გაუწიონ. ჩინჩალაძესაც არ დაურღვევია ეს ძველი ჩვეულება და თავის მუშებისათვის კარგი ვახშამი დაემზადებინა. სტუმრები და ოჯახში მყოფნი მხიარულად შექცეოდნენ თურმე ვახშამსა და მრავალ ჟამიერის ღიღინით სადღეგრძელოებს მიირთმევდნენ. როცა კარგად შეზარხოშდნენ, მასპინძელმა, აგაბო ჩინჩალაძემ, საუბედუროდ, კედლიდგან თოფი ჩამოიღო და სინჯვა დაუწყო. თოფი გატენილი გამოდგა, მოულოდნელად დაეცალა ხელში და იქვე მდგომს თავისს ბიცოლას გარდაიცვალა მოჰხვდა ტყვია მკლავში. დაჭრილი იმ დღესვე ბ-ნ სამსონ თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს ქუთაისში; იმედია სიკვდილს გადაარჩენენ, მაგრამ მკლავი სამუდამოდ დაუშავდება.

სიამოვნებით ვკითხულობთ გაზეთებში სხვა-და-სხვა მხრიდგან მოწერილს ამბავს, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს, კარგი გამოსავალი აქვსო. იმერეთშიაც იმედი გვაქვს კარგის მოსავლისა. ცოტა არ იყოს, მინდვრის ყანების დამუშავება დაგვიანდა ხშირი წვიმების გამო, თორემ სხვა ფრივ არა უჭირს-რა. სოფლის მეურნეთ სიმინდის ყანების დამუშავება ძრიელ გაუძნელდათ, რადგანაც დღიურის მუშას ქირამ ძრიელ იმატა. ჯერ-ჯერობით სიმინდის მთოხნელის დღიური ქირა ოთხი აბაზიდგან ოთხ აბაზ უღაზთუნამდე ავიდა. ხარჯიც დამქირავებლისაა. მუშის ასეთის სიძვირისა გამო ბევრს ადგას სიმინდის ყანები ჯერ გაუთოხნელია.

წარსულს კვირაში სამს დღეს ვაკე იმერეთში აღმოსავლეთის ცხელი ქარი ქროდა, რომელმაც ზოგიერთი ადრეული ნათესი სიმინდი დააზარალა. დააზარალა აგრეთვე აქა იქ ყანები და ნორჩი ნაზარდი ვაზის ულორტები. ვენახს სნეულებამ ჭრაქმა და ნაცარმა შესამჩნევად იჩინა თავი.

ი. ტ—ლი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც მოგეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოებამ“ გარდასწყვიტა იქონიოს განსაკუთრებული ბიურო, სადაც საქართველოს ყველა კუთხიდგან უნდა

---

თრიალეთი სულ ზემო ნაწილია ამ მხარისა და შესდგება სამის მთავაკისაგან. ერთი ამ მთა-ვაკეთაგანი ყველაზე მაღალია და ზემოდგან დასცქერის დანარჩენ ორ მთა-ვაკეს —წალკასა და ქარვასლის ხეობას. სულ მაღალ მთა-ვაკის ხევხევებში საუკუნო თოვლებიც მოიპოვება, აგრეთვე მასზეა მოთავსებული უშველებელი ტბა თოფორავანი, სავსე თევზით, მხოლოდ უგემურით. თევზის გამო აქ გაჩენილა მრავალი მეთევზე თეთრი-ფერის სვავი. ამ სვავთა ბრბო მრავლად დაფრინავს ქარიან დღეებში მაღლობ თრიალეთზედ, ხოლო მზიან დღეში თავ-ჩალუნულნი თეთრად მწკრივდებიან ვაკეებზედ. ამ თევზის უგემურობას ჩვენი გეოგრაფი ვახუშტი სამართლიანად აბრალებს საზაფხულოდ თრიალეთზედ ამოსულს საქონლის პატივს, რასაც ზამთრის თოვლის დნობის დროს ნიაღვრები ეზიდება ტბაში. უხსოვარ დროიდგანვე მთელ საქართველოდგან საზაფხულოდ აქ ამოდიოდა საქონლის ფარები და სძოვდა ამ ძვირფასის მოლით შემოსილ ალაგებს. ეხლაც ხმაურობა და ჟრიამული მწყემსთა, ცხვრისა და საქონლის ფარებისა აღვიძებს ზაფხულში დანარჩენ დროს მკვდარ მხარეს!..

აქ ზაფხულში დღისით თბილა და უცხო ყვავილებით საამურად ჰპიბინებს არე-მარე. ძირს მოლს და მაღლა ლაჟვარდ ცას არ გინდა თვალი მოაშორო, მაგრამ შებინდდება თუ არა, ამოვარდება ქარი და გათენებამდის გააქვს გუგუნი. სახელ-წოდება თრიალეთისაც უეჭველად აქედგან წარმოსდგებოდა, ის სახელწოდება, რომელიც ყველა ქართველისათვის ცნობილია, ამ დროს თრიალეთში ხამად ასულს ვერ შველის თბილი იაფანჯი, იმიტომ მოსვენების დროს მეცხვარის ქოხში იყუჟება; მაგრამ აი დარჩა ორიოდე დღე, იკემა მსუქანი ცხვრის ყაურმა, ტალივით სათლელი ცხვრის მაწონი, გემრიელი ყველი, და იგი სიამოვნებით იშოტება მშვენიერ მოლზედ; მართალია, იაფინჯს საყვარლად დაჰქიქინებს თრიალეთის ღამის ქარი, მაგრამ მას ქვეშ მწოლი არხეინად და სიამით გასცქერის ვარსკვლავებს და მერე ღრმასა და ტკბილს ძილს ეძლევა. აქაურ წყალსაც შესანიშნავი თავისებურობა აქვს. თოფორავანის ტბის აღმოსავლეთით ქაჰალ-გორის და ამლიკოს მთების გარშემო წყაროები მეტად ცივი, მომწვანო ფერისა და მძიმე სასმელია; თითქო ტყვია ჩადისო, ისე იმძევა და ხამად ჰშლიან ადამიანს. მწყემსნი, მრავალ-ზაფხულს აქ მყოფნი, მეტის სიფრთხილით ჰსმენ ამ წყლებს პირველ ამოსვლაში. მაგრამ გავიდა ერთი კვირა, ეჩვევიან და წითლად იმკვრახებიან, როცა ჰსმენ, ან პირს იბანენ ამ ყინვასავით ცივ წყაროების წყალს. „თუ ბარიდგან კაცს სიხაშმე ამოჰყვა აქაო, ამბობენ მწყემსები, უეჭველად აჩნდება, იავადებს და თუ გასაღდა, სამუდამოდ გასაღდება და თუ არა —მოკვდებაო“. მართლაც და, მეტად განსხვავებული ჰავა-გარემოებაა ამ მაღალ თრიალეთზედ. ცარიელ ქუმელსა და ხაჭოზედ დანაბრებულნი თუშ-ფშავთა მწყემსნი სიმსუქნით კისერს ველარ იბრუნებენ ხოლმე და ლომებრივის ძალ-ღონისანი ჰხდებიან აქ. მეტად უბედური რამ საჭმელია ეს ქუმელი. ბინაზედ სასადილოდ ჩამომწკრივდა ათიოდ მწყემსი. ერთი მათგანი მოსჯდომია თაბახს, რომელშიაც ცივწყალში ზელს ქერის ფქვილს, აგუნდავებს ხელში და გუნდებს ესვრის ჩამომწკრივებულ მწყემსებს. მწყემსები მარჯვეთ იჭერენ და შეექცევიან „ანძალტთან“ ერთად, რომელსაც „სატანს“ ეძახიან. „ანძლატი“ კეთდება ყველის შედღდების შემდეგ ნარჩენ შრატისაგან და ხაჭოს წააგავს. ამაზედ უკანასკნელი საჭმელი აღარ შეიძლება, მაგრამ საკვირველია მათი სიჯანსაღე. კარგად სჭამენ თრიალეთზედ ქართლ-კახეთის მწყემსნი: მორიგი მწყემსი მთელი დღე „საჯზედ“*) აცხობს მშვენიერ თეთრ ლავაშს და ამასთან ბინაზედ რიგრიგით ჰკლავენ „შიშლიგს“ **), იმიტომ იმათ ხორცი გამოულეველად აქვთ ხოლმე ბინაზედ. მწყემსის თავს ბევრ ბინაზედ 7 და 8 შიშლიგი იკვლება ზაფხულის განმავლობაში, გარდა შემთხვევით დაკლულ-დაზარალებულისა. თუშ ფშავის მწყემსი იმიტომ მთაზედ ჰამაში შეჰნატრის ხოლმე ქართლ-კახელს. მხოლოდ ზოგიერთის ფარის პატრონნი თუშ-ფშავი-კი მთაში რკინის საწოლებითა და ჩაი-შაქრითაც-კი იმართება ხოლმე ამ ბოლო დროს. ასე უხეიროდ იყენება თუშ-ფშავის მწყემსი, მაგრამ მისი ერთგულობა, მუყაითობა და საქონელში გარჯილობა გაკვირვებს, მეტადრე ქართლ-კახელებთან შედარებით.

მშვენიერი რამაა ამ სიმაღლეზედ ჩინეთის მცენარე—ჩაი. მშვენიერის წყლით დაპალი ღირსებისაც-კი მეტს სიკეთეს იჩენს... თოფორავანის ტბის დასავლეთით-კი წყაროები მეტი ანკარა და ცივია, ამასთან ისეთი სუმბუქი სასმელია, რომ კაცი სმით ვერა ძღება. თვით ჩვენ ვახუშტსაც კი აქვს ნათქვამი: „თოფორავანის ტბის მახლობლად არის წყარო, რომლის სმით, თუ ვინმე იყოს მაძღარ, მოაღონობს, ვითარცა ქონს ცეცხლიო, აქვე ჰბრძანებს ვახუშტი: ამავე ტბას ერთვის წყარო შაორისა, გა-

---

*) საჯი დიდის რკინის კეცის მგზავსია, რომელსაც ახურებენ და ზედ ლავაშებს აცხობენ,

**) შიშლიგი საკლავია—„ას ლორზედ საბალახოდ ორი შიშლიგი მოგვეო,“ უწერენ პირობის წერილში, ე. ი. ორი საკლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკრიბებოდეს ცნობები მიწის მოსავლის შესახებ. ამ აზრით ამოირჩიეს განსაკუთრებული კომისია და მიანდვეს მას საქმე მოეწყო. აი, როგორც ამ წერილიდგანა სცნობთ, კომისიას შეუმუშავებია „კითხვათა ფურცელი“ და ამ წერილით სთხოვს მსურველთ ბიუროს კორრესპონდენტობა გაუწიონ. შეიძლება ბევრმა მსურველთაგანმა ასეთი ფურცელი განსაკუთრებით ვერ მიიღოს და სურვილი-კი ჰქონდეს ამ საკეთილო და საქვეყნო საქმეს დაეხმაროს. მაშინ კომისია სთხოვს რედაქციის პირით ეს თვისი სურვილი ან ბიუროს აცნობოს „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში“, ან-და რედაქციას და აგრეთვე თავისი ადრესი, სადა სცხოვრობს და რა ნაირად შეიძლება „კითხვათა ფურცლები“ გაეგზავნოს. სიამოვნებით ვეგებებით-რა საზოგადოების ასეთს განზრახვას, ვაუწყებთ მკითხველებს, რომ მათს სურვილს სტატისტიკურს ბიუროს დაუყოვნებლივ გადავცემთ. აქვე მოგვყავს ის წერილი, რომლითაც კორრესპონდენტობის მსურველთ მიჰმართა აღნიშნულ ბიუროს კომისსიამ.

მ. ხ.

დიდი ხანია შენიშნულია მრავალთაგან, რომ მეტად მცირეა ჩვენში შეკრებილი ცნობები სასოფლო მეურნეობის შესახებ, რა პირობებშია იგი ჩამდგარი, რა პირი უზანს მოსავალსა და სხვა. საჭიროა არის ამნაირი ცნობები დროზედ შეიკრიბოს და რიგიანად შემუშავებული გამოქვეყნდეს ხოლმე საყოველთაოდ. სწორედ ამნაირი ცნობების უქონლობაა იმის მიზეზი, რომ ძალიან ხშირად სრულიად უყურადღებოდ რჩება ხოლმე ის აუარებელი ზარალი, რომელიც მოსდით მეურნეთ სხვა-და სხვა მავნებელ მიზეზებისა გამო.

მეურნეობისთვის ხომ მეტად საჭიროა ჯეროვნად გამოკვლეული იყოს ამასთანა საგნები, როგორიც არის სეტყვისაგან, გვალვისაგან და სხ. დაზღვევა ვენახებისა და ნათესისა, მამულების რიგიანად დაფასება, მამულების მორწყვის გაწესრიგება, მოსავლის გაყიდვა და სხვა-და-სხვა. და აი ამ საგნების გამორკვევა შეუძლებელია, თუ კაცს ხელთ არა აქვს ნამდვილი ცნობები სოფლის შესახებ, ცნობები შეკრებილნი და აღწერილნი თვით სოფლის მცხოვრებთა და მათ ავ-კარგის მცოდნეთაგან.

საიმპერატორო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუდმივი სურვილი იყო როგორმე დაეკმაყოფილებინა ზემოდ მოხსენებული საჭიროება და იმისთვის მან, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის დახმარებით, დააარსა „სტატისტიკური ბიურო“, რომელსაც მაინდო შეეკრიბოს ხოლმე სტატისტიკური ცნობები სასოფლო მეურნეობის შესახებ.

სასოფლო მეურნეობა დამოკიდებულია მრავალის ცვალებად მიზეზებისა და მოვლენათაგან (მაგ., რა დარი დგას, მუშას რა ფასი აქვს და სხ.). მათ შესახებ ცნობების შეკრება ითავა საზოგადოებამ, რაიცა ჯერ-ჯერობით შესაძლებელია კორრესპონდენტების, თანამშრომლების დახმარებით და თანაგრძნობით. ამიტომაც სტატისტიკური ბიურო და სამეურნეო საზოგადოებაც მიჰმართავს უ. უ. მებატონეთ, მღვდლებს, მასწავლებელთ, მოურავებს, მოიჯარედრეთ და საზოგადოდ ყველას, ვინც სოფელში სცხოვრობს და იცის მისი ავ-კარგი, და სთხოვს მათ მიაწოდონ ხოლმე „ბიუროს“ ყოველნაირი ცნობანი იმ მამულის შესახებ, რომელშიაც თვითონ მისდევენ მეურნეობას, ან მთელის სოფლის შესახებ.

სხვა-და-სხვა ადგილებიდგან მოსული ცნობები ერთად იქმნებიან შეკრებილნი, წესზედ შემუშავებულნი; ამნაირად შესაძლებელი გახდება მათი გამოქვეყნება და მოსაზრება იმისი, თუ რა პირი უზანს მოსავალსა და ან რა გამოსავალი ჰქონდა მას. ამასთანავე სხვა-და-სხვა დაწესებულებანი, როგორც მაგ. ტფილისის სათავადაზნაურო ბანკი, თავისს დროზედ მიიღებენ ცნობებს დაზარალებულ მამულებას შესახებ და საჭიროებისამებრ გამოიყენებენ ამ ცნობებს.

სტატისტიკური ბიურო ნებას აძლევს თავისს თავს მოგმართოთ თქვენ, მ. ხ., თხოვნით, რომ არ დაიშუროთ მისთვის თქვენი თანამშრომლობა და მიაწოდოთ ხოლმე მას ცნობები იმ ადგილების შესახებ, სადაცა სცხოვრობთ და რასაც გასწვდებით. ამასთანავე გეგზავნებათ ფურცელი და დარიგება როგორ უნდა ჩასწეროთ ხოლმე პასუხები ამ ფურცლებში.

ამ ფურცელში თვითოეულს კითხვას თავისი საკუთარი ხაზი აქვს, რაზედაც დაიწერება შესაფერი პასუხი. თუ რომელისამე კითხვის შესახებ საჭირო იქნება, რომ უფრო ვრცელი პასუხი იყოს მოყვანილი (მაგ. სეტყვისა და ნიაღვრის შესახებ, ყოველ მხრივი აღწერა ვისიმე მამულისა და სხვ.), მაშინ ეს უნდა დაიწეროს ამ ფურცლის მესამე გვერდზედ, სადაც აწერია „განსაკუთრებითი შენიშვნები“.

ცნობები უნდა ეხებოდეს ან ერთს რომელსამე კერძო მამულს, მეურნეობას, ან მთელს სოფელს, ან არა და რამდენსამე სოფელს ერთად. ამიტომ საჭიროა ფურცელზედ თავის ადგილას აღინიშნოს ხოლმე, რის შესახებ იკრიბება ცნობა.

პასუხი უნდა მიეცნენ მხოლოდ იმ კითხვებს, რომლის შესახებაც ბ. ბ. კორრესპონდენტებს უტყუარი და ნამდვილი ცნობა აქვთ.

თუ ვინმემ საჭიროდ დაინახა შეგვატყობინოს ცნობები იმ საგნებზედ, რომელთა შესახებაც აქ კითხვები არ არის დაყენებული, შესაძლებელია ეს ცნობები ცალკე ქაღალდზედ იყოს დაწერილი.

ამნაირი აღწერა, თუ იგი კარგად იქნება შედგენილი, დაიბეჭდება „სტატისტ. ბიურ.“ გამოცემებში შეუცვლელად.

სტატისტიკური ბიუროსაგან დაბეჭდილი ცნობები, ან ცალკე გამოცემა (მიმოხილვა და სხვა) უსასყიდლოდ დაურიგდება ყველა კორრესპონდენტებს.

სტატისტიკური ბიურო დიდი მადლობელი იქმნება, თუ თქვენ, მ. ხ., გაასარჯებით და ამასთანავე გვაცნობებთ იმ პირების ადრესებს, თქვენს მეზობლებსა და ნაცნობთა შორის, რომელნიც შესძლებენ და მოისურვებენ კორრესპონდენტობას.

სტატისტიკური ბიურო იმედოვნობს, რომ ბ. ბ. კორრესპონდენტების დახმარებით მას მიეცემა ღონისძიება ცოტათი მაინც არის გამოირკვეს, რა მდგომარეობაში არის ამ ჟამად ჩვენი სასოფლო მეურნეობა.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** როგორც წინად, ეხლაც ჩინეთიდგან ნამდვილ არაფერს იუწყებიან ელჩების შესახებ. ზოგი დეპეშა დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ ელჩები ცოცხლები არიანო, ზოგი კიდევ საეჭვოდ ჰყოფს ელჩების სიცოცხლეს. მიუხედავად ამისა ევროპაში თან და თან რწმუნდებიან, რომ ჩინელები განგებ აგრცელებენ ამ ამბებს. რომ ელჩები უვნებელნი არიან, მაგრამ არ უნდათ ეს გააგებინონ ევროპის სახელმწიფოებსაო. ვენაში მყოფ იაპონიის საელჩოს პირველ მდივანს უთქვამს ერთის იქაურის გაზეთის თანამშრომელისათვის: „როგორც უკანასკნელის ცნობებიდგანა სჩანს, ვფიქრობ, რომ ელჩები ცოცხლები უნდა იყვნენ. ჩინელები ეხლა ელჩებს უფრთხილდებიან უთუოდ და გაჭირვებისთვის ინახავენ. იმ შემთხვევაში, თუ ევროპამ ჯარი პეკინში გაგზავნა, ან სხვა რამ დაუპირა ჩინეთს, შეიძლება ამ უკანასკნელმა შემოუთვალოს: თუ პეკინში შემოხვალთ, ან ჩვენ სახელმწიფოს რამე ვნებას მიაყენებთ, აღარც ერთს ელჩს ცოცხალს არ გაუშვებთო. ჩემის აზრით, ჩინელები ელჩებს მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლებენ, როდესაც პირობას ჩამოართმევენ ევროპას, რომ ჩინეთს არაფერს დააკლებენ.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** გუშინდელმა დეპეშამ ამბავი მოიტანა რომ ბურების წინამძღოლი ქრისტიანე დევეტი დაჰპირდა ინგლისელებს, დაგმორჩილდებითო. რამდენად მართალია ეს ამბავი, ამას შემდეგი გამოარკვევს, ეს კია, რომ დევეტს დამორჩილების ამბავი წინადაც არა ერთხელ მოუტანია დეპეშას. დევეტი საოცარი მამაცი, მოხერხებული და გამოცდილი წინამძღოლი ყოფილა, იგი გლეხის შვილია და ბრძოლას სიყმაწვილითვე არის შეჩვეული. 1881 წელს ინგლისელების დამარცხების დროს დევეტი ბურების ჯარში უბრალო ჯარის კაცად იყო, ეხლანდელ ომის დროს ქრისტიანე დევეტის შესახებ არაფერი ისმოდა. მხოლოდ ამ ბოლოს დროს მოიტანეს გაზეთებმა და დეპეშებმა ამბავი დევეტის საოცარ საქმეების შესახებ. მაისის უკანასკნელ რიცხვებში დევეტმა თავისის მცირე რაზმით პრეტორიიდგან კრონშტადტში მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი წაახდინა და ამით ინგლისის ჯარი დიდ გაჭირვებაში ჩააგდო, რადგანაც სურსათი აღარ მოსდიოდათ. შემდეგ დევეტი მოსვენებას აღარ აძლევდა ინგლისის ჯარს, ხან აქ დაეცემოდა და ხან იქ. დევეტს წვრილ-წვრილ შეტაკებებში ძალიან ბევრგან გაუმარჯვნია. თუ არ დევეტი, ბოტა დამორჩილებას აპირობდა თურმე. ბოტა მხოლოდ მაშინ გამხნევებულა, როდესაც დევეტის საოცარი ამბები გაუგია და ბრძოლის განგრძობა ამისათვის გარდაუწყვეტია. სწორედ ამ დროს მოხდა დიდი ბრძოლა ბურებსა და ინგლისელებს შორის. გენერალმა ბოტამ დევეტას დახმარებით საოცრად დაამარცხა ინგლისელებას კარგა მოზრდილი რაზმი. ბოლოს დევეტმა ისე გააჭირა თურმე საქმე ინგლისელებს, რომ რობერტსს იმის შესაპყრობად მეტუენი, კიტჩინერი და რენდლი გაუგზავნია 20,000 კაცით. აი აქედგან იწყობა საარაკო საქმენი დევეტისა. დევეტს 2000 კაცი ძლივსა ჰყოლია, მაგრამ ამ მცირე რაზმით ისე გამძვრალ-გამომძვრალა და ისე დაუბნევია გზა-კვალი ინგლისელებისათვის, რომ ეს სამი „მამაცი“ და „გულადი“ გენერალი ინგლისის მხედრობისა სასოწარკვეთილებას მისცემიან. ერთხელ, როგორც ყოფილა, გარშემო შემორტყმიან დევეტის მცირე რაზმს. დეპეშაც კი მოვიდა, დღეს არა ხვალ დავიმორჩილებთო, მაგრამ მოხერხებულ ბურს გაურღვევია ინგლისის ჯარი, 150 ინგლისელი ტყვედ წაუყვანია და იქვე მახლობლად რკინის გზის ლიანდაგიც აუშლია. იმ დღიდგან დაწყებული დღემდე დევეტს ერთი წუთი მოსვენება აღარ მიუცია ინგლისელებისათვის. ამბობენ, ამ კაცმა ცოტ-ცოტაო-

---

მომდინარე კლდიდგან და სავსე კალმახითა, ხოლო თვით შაორის მთის თხემზედ სდგას ციხე ლოდით ნაშენი“. ავუარე ამ კალმახიან წყაროს, აველ ციხის სანახავად თვით თხემზედაც, მაგრამ ლოდთა მიყრილობის გამო აქ ვეღარა ვნახე-რა. ზედ წვერზედ უშველებელი ლოდია დადებული, ლოდზედ მუთაქასავით ქანდაკებაა. „ეს ქოროღლის საწოლიაო“, მეუბნებიან თანამგზავრი მწყემსნი. აქვე პატარა გამოქვაბული იყო. „აქ გათქმულის ქოროღლის ცხენი ებაო“, მეუბნებიან იგივე მწყემსნი. მერე ამ ცხენის ნაფეხურებსაც-კი მიჩვენებენ კლდეზედ. ამის გამო მთელ მთას შაორის ნაცვლად ქოროღლის მთის სახელ-წოდება მიუღია. დიდია სახელი და მითქმა-მოთქმა ქოროღლის შესახებ თრიალეთზედ. გარწმუნებენ, რომ ქოროღლი ამასა და ამას უნახავს, ესა და ეს მოსწრებიაო; მაგრამ რო გამოიკვლევ, მიჰხვდები, რომ ყველა ეს მითია პატიოსან ყაჩაღის ტიპის შესადგენად, რომელსაც ხმალი საწყლის დასაცველად გაულესია. ხალხურ აშუღებს სპარსულად ლაზათიანად გაულექსიათ და უმღერიათ ეს ამბავი. ვამღერე მწყემსები სპარსულადაც და ქართულადაც ქოროღლის სიმღერა და ბევრ ალაგს დიდის სიამითაცა ჰმღერიან...

შაორის, ანუ, ეხლა, ქოროღლის მთა მთელს თრიალეთს დაჰსცქერის; თვით თოფარავანის ტბა ფერხთით გაშხლართვია. მაგრამ განა მარტო თრიალეთს დაგახედებს შაორის მთა?!. იქიდგან მეტად დიდებული ცისკიდური იშლება ყარსისკენ, ტრაპეზონისკენ, ნუხ-ყარაბაღისკენ, კოლა-არტანუჯისკენ. თრიალეთი მეტად მარჯვე გადასავალია ერთი დღისა ყარსამდე, სამის საათისა ახალ-ქალაქამდე, ხუთისა ბორჯომამდე, ახალციხე-აბასთუმნამდე და სხვ...

შაორის მთიდგან როცა მარტო თრიალეთს ათვალიერებენ, აღმოსავლეთიდგან გამოიცქირება ხავერდივით მწვანე მთა „ამლიკო“. ამლიკსვე ეძახიან მწყემსები მეტად თამამ თავ მამალ ბატკანს. საპატიო სტუმარი როცა მივა ბინაზედ, სარქალი მისცემს განკარგულებას: „ბიჭებო ამლიკვი დაჰკალით, ამლიკვიო“!.. ამლიკოს ცოტა მოშორებით ამაღლებულა ქაჩალ-გორა, რომელიც ნახევარზედ ქვემოდ მწვანედ ხასხასებს, ხოლო წვერვალი უშველებელის ლომფინებით აქვს გადაფილაქნებული-გადაქაჩლული... ამლიკოსა და ქაჩალ-გორის გარეშემო ადგილები ნადირ-ბულახი, ავრიყალი ყველაზედ გათქმული საძოვრებია თრიალეთზედ, იმიტომ ქაჩალ-გორის ყველი ისევე სასახელოა, როგორც კახური ღვინო საქართველოში. ქაჩალ-გორის ძირში არის წყარო, რომლის ყინულს მკათათვეშ. ვამტვრევდით, რომ წყალი დაგველია.

შაორის მთიდგან დასავლეთისკენ გამოიყურება თავ-კვეთილი, შავ-ნაბადა და უშველებელი მთა აბულისა; ეს უკანასკნელი მიჯნაა ბორჩალოს, გორის და ახალციხის მაზრათა შორის. შავნაბადასა და თავ-კვეთილის მახლობლად უფრო ქიზიყელთა ცხვრები ამოდიან. შაორის მთიდგან სამხრეთისკენ გაჰხედავთ ზიარეთს და ბულა-მეიდანს. ზიარეთს და ქაჩალ-გორას ზაფხულობით თუშ-ფშაველობა ახვევია უფრო. თრიალეთში ბევრგან შეჰხვდებით უშველებელ გორაკებს ქვებისასა და ლოდებისას. ვახუშტი ამბობს: „ბევრგან მთებია ასეთი ლოდებისა და ზედ რომ იწყებ ასვლას, მთელი მთა იძვრისო“. ასეთ ადგილებს ის კარგანალად უწოდებს. ეს უტყუარი მაჩვენებელია იმისი, რომ თრიალეთი ვულკანიურ შენობისაა. მწვერვალი თავ-კვეთილი, რომელიც ეხლა მწყემსებს ნიკოლას მთად მოუნათლავთ, დიდის ხნის ჩამქრალი არ უნდა იყოს. ზედ თავზედ ძაბრისავით ამოფოსოებული ეხლაც ეტყობა; ამ ალაგს ბუნებას, თუ კაცის ხელს ვაზი დაურგავს და დღესაც საცოდავად გაფორთხილა ამ სიმაღლეზედ, რადგან მთა ძირიდგან სითბოს აძლევს. ამ ძაბრში პატარა ტბაცაა ჩამდგარი. 19 იანვარს ამ 1900 წ. ამ მთაკვეთილისა და აბულის მახლობლად მოჰხდა საშინელი მიწის ძვრა და მრავალნი მცხოვრებნი ჩაიტანა. მე-15 საუკუნეშიაც ასეთივე ამბავი შეჰმთხვევია ამ ადგილებს, როგორც ჰმოწმობს ქართული მატიანე.

მთელი თრიალეთი ყუყასავით შავის მიწით არის დაფენილი. მერე მიდამონი სავსეა საშინლად დაჩვრეტილ ქვებით. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ თრიალეთი ოდესმე დიდის მცენარეებითა და ტყეებით ყოფილა დაფენილი. ამა მცენარეთა ჩალპობისა გამო გაჩენილა შავი ნიადაგი, მხოლოდ წყლის მიერ მოტანილ ლამისაგან და მასში გაჩხირულ მცენარეების ღეროებისა წარმომდგარა ნაჩვრეტი ქვები... ეხლა თრიალეთი უტყეოა, ხოლო ღანძილი, ეს ნამდვილი ტყას შვილი, ხევებში აქ უტყეოდაც მოიპოვება, მაგრამ დიდმარხვაში-კა არ იკრიბება თოვლისა გამო, არამედ მაისში, როდესაც სიხარბით ჰკრეფენ მცხოვრებნი და წნილადა სდებენ.

ტაფოებში უხსოვარ დროიდგან აქ ქართული სოფლები ყოფილა. ნაოხრებზედ ეხლა სომხები და დუხობორები დასახლებულან, მაგრამ სახელ-წოდება ბევრგან ისევ ქართული შეჰრჩენია: სალამო, განძა, მაჰკტი, ფარავანა, ფოკა და სხვა... ეკკლესიების ნანგრევები და ზოგგან მთლადაც შენახვა ამას ეხლაც გიმტკიცებთ.

მღ. ზაქარია გულისაშვილი

(შემდეგი იქნება).

ბით იმაზედ მეტი ტყვე წაიყვანა, რაც თითონ ჯარი ჰყავსო, აი ესლაც დეპეშა ამ დევეტის ამბავს გადმოგვცემს. დევეტს უთქვამს, დაგმორჩილდებითო, მაგრამ შეიძლება ეს მხოლოდ ხრიკი იყოს მოხერხებულის წინამძღოლისა და სხვა არაფერი. დევეტის მამაცობით გაკვირვებული ინგლისური გაზეთები სწერენ თურმე, კარგი იქმნება დევეტს რობერტსის მაგივრად ინგლისის ჯარის მთავარ სარდლობა ჩავაბაროთ: ეს კაცი სულ სხვა ნაირ წაიყვანს საქმესაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გერმანიის იმპერატორს გულით უნდა თურმე პარიჟში წასვლა და იქ გამოფენის დათვალიერება. ამბობენ, რომ იმპერატორი საიდუმლოდ, ინკოგნიტოდ უთუოდ წავა პარიჟშიო. როგორც ეხლა გამოირკვა, 1889 წლის გამოფენაზედ ასე საიდუმლოდ უკვე ყოფილა იმპერატორი ვილჰელმი. იმპერატორ ვილჰელმს გამოფენაზედ წასვლის სურვილი მაშინ ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩისათვის გამოუცხადებია. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ გადაუწყვეტიათ იმპერატორის მგზავრობა ისე მოაწყონ, რომ არავინ არაფერი გაიგოს. ეს ამბავი სცოდნიათ მხოლოდ: რესპუბლიკის პრეზიდენტს, გარეშე საქმეთა მინისტრს, ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩს, სამხედრო მინისტრს და პარიჟის პოლიციის დირექტორს. დირექტორს აურჩევია 20 გამოცდილი აგენტი საიდუმლო პოლიციისა და იმათვის მიუნდვია, მოუარონ და თვალ-ყური ადევნონ იმპერატორს, რომ პარიჟში ყოფნის დროს არაფერი შეემთხვესო. ამასთან აგენტებისთვის არ გაუგებინებიათ, რომ იმპერატორია, მხოლოდ უჩვენებიათ იგი და უთქვამთ, თვალ-ყური ადევნეთო. რათა საიდუმლოება არ გამოაშკარავებულიყო, იმპერატორი ჯერ ნორვეგიაში წასულა და იქიდგან ჰოლანდიითა და ბელგიით პარიჟში ჩასულა. ბრიუსელში იმპერატორისთვის სამი ვაგონი მოუმზადებიათ, ერთში იმპერატორი დამჯდარა, დანარჩენ ორში აგენტები ჩაუსხავთ. პარიჟში ყოფნის დროს იმპერატორი უბრალო სასტუმროში ჩამომხდარა და მხოლოდ ერთი ოთახი დაუჭერია იქ. ვილჰელმს ძალიან უნდოდა თურმე სტრასბურგის ძეგლის ნახვა. ამიტომ მეეტლესთვის უბრძანებია ამ ძეგლთან გაჩერება. როდესაც იმპერატორი ჩამომხტარა, იქვე ძეგლთან ვილაც კაცი მდგარა. ჯერ ჩასჩერებია ეს კაცი, შემდეგ გამოჰიმულა და „ჩესტი" გაუკეთებია იმპერატორისათვის. იმპერატორი მაშინვე ჩამჯდარა ეტლში და სასტუმროში დაბრუნებულა. აგენტებს კიდევ უცნობი წაუყვანიათ. როგორც აღმოჩნდა, ეს უცნობი გერმანელი აფიცერი ყოფილა, აგრეთვე საიდუმლოდ მისული პარიჟს გამოფენაზედ. მეორე დღეს ეს აფიცერი გერმანიაში გაუსტუმრებიათ. მაგრამ ვიდრე იმპერატორი დარჩენილა დიდხანს პარიჟში, შეჰშინებია, მიცნობენო, და საიდუმლოდვე დაბრუნებულა გერმანიაში.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი

**პეტერბურგი.** პოლკოვნიკის შვერინის რაზმმა, რომელიც ბლაგოვეშჩენსკის გარნიზონის მისაშველებლად მიდიოდა, 13 ივლისს მოხო დასწვა, სადგურ იგნაშინოს პირდაპირ. ჯარი დ მცხოვრებნი გაიქცნენ. მოხოში ჩვენი დარაჯებია დატოვებული.

**ვაშინგტონი.** შანჰაიში მყოფი ამერიკის კონსული დეპეშით იტყობინება, რომ იუნანში ხელ-ხალად მოხდა არეულობაო.

**შანჰაი.** 13 ივლისი. ლიხუნგ-ჩანგი აცხადებს, რომ უცხოეთის ელჩები ამ ჟამად იმყოფებიან ტიანძინის გზაზედ და ტიანძინში ჩავლენ კვირასაო. ლიხუნჩაგნმა სთქვა, რომ პრინცი ტუანი მოჰკლესო. „დიდი მუშტი ორ-დასად გაიყო, ერთს მხარეს ჰსურს ტახტიდგან ჩამოაგდოს მანჯურიის დინასტია და მინის დინასტია აიყვანოს ტახტზედ, მეორეკი ტუანის მომხრეა. საშინელი ბრძოლის დროს გალავნის აღმოსავლეთ კარებთან ტუანის მომხრენი დამარცხდნენ. თვითონ ტუანიც დაიღუპა.

**შანჰაი.** ინგლისელ ბაპტისტების მისიის წევრი დეპეშით იუწყება ხინანფუდგან, რომ შენსიში ქრისტიანები მთლად გასწყვიტესო. მოჰკლეს აგრეთვე ხუთი უცხოელიც. შველა აუცილებლად საჭიროა. გენერალი გეზი ტაკუში წავიდა.

**ლეიბე.** ორასმა ბურმა 12 ივლისს იარაღი დაჰყარა ფიქსბურგში და მტერს დამორჩილდა.

**კოპენჰაგენი.** პრინცის ქრისტიანეს მეუღლეს ვაჟი ეყოლა.

**გონკონგი.** ჩინელების გამოსაცდელად, თუ რამდენად მართალს ამბობენ, როცა ირწმუნებიან ელჩები უვნებლად არიანო, იტალიის კონსულმა სთხოვა კანტონის მეფის მოადგილეს—იტალიის ელჩთან პეკინში მიწერ-მოწერა იქონიოს და პასუხი ჩამოართვას ერთს კითხვაზედ, რომელსაც მხოლოდ ელჩი და კონსული გაიგებსო. მეფის მოადგილემ უარი განაცხადა ამაზედ, რადგანაც ყველა ცნობები პეკინიდგან საიდუმლოდ მოდის შანდუნის გუბერნატორის საშუალებითაო.

**ლონდონი.** ცნობა მოვიდა კაპშტადტიდგან 13 ივლისს, ვითომც დევეტი იარაღის დაყრას აპირებდეს იმ პირობით კი, რომ მისს ჯარს ნება მიეცეს ოჯახებში თავისუფლად დაბრუნდნენ. რობერტსმა უარი სთქვა ამ პირობაზედ და სრული დამორჩილება მოსთხოვა.

**პრეტორია.** რობერტსის დეპეშა. ფრენჩი და გეტტონი მტერს კვალში მისდევენ. 12 ივლისს პირველი მდ. ოლიფინტს გადავიდა და მადმებურგს გადაჰხედა დ აგრეთვე მტრის ჯარს, რომელიც საჩქაროდა და გზა-აბნეულად იხევდა უკან რკინის გზის ჩრდილოეთით. რკინის გზაზედ რამდენსამე მილის მანძილზედ ურმები და ცხენოსანი რაზმი სდგას. ამას იქით მტრის დევნა შეუძლებელი-და იყო, რადგანაც რაზმის დანარჩენი ნაწილი მდ. ოლიფინტის დასავლეთით იმყოფებოდა. გენერალმა ფურიესბურგი დაიჭირა, სადაც მან შტეინის ცოლი და ბევრი ინგლისელი ტყვე ნახა. ბროდვუდი ქრისტიანე დევეტს ადევნებს თვალ-ყურს, რომელმაც რამდენიმე მაღალი გორა დაიჭირა რეიცბურგის მახლობლად, ვაალიდგან სამხრეთით შვიდი მილის სიშორეზედ. დევეტის უმცროსმა ძმამ იარაღი დაჰყარა.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანის ირადე ბრძანებს, რომ ამიერიდგან ნახევრად დაკლებულ იქმნას იმ ოფიციალურისა და კერძო დეპეშების ტარიფი, რომელთაც უცხოელი ჯარის კაცნი ჰგზავნიან ოსმალეთისა და ევროპის გზით ჩინეთში.

16 ივლისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: საომრად გამზადებულს მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 ციმბირის ყაზახთა ჯარების რაზმებისაგან შესდგეს დივიზია და ეწოდოს სახელად—ციმბირის ყაზახთა დივიზია. დივიზიის შტაბი—ომსკში იქმნება. საომრად გამზადებული მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ზაბაიკალის ყაზახთა ჯარის ქვეითა ბატალიონებისაგან შესდგეს ბრიგადა და ეწოდოს სახელად: ზაბაიკალის ყაზახთა ჯარის ქვეითა ბრიგადა. შტაბი ჩიტაში იქნება.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ოფიციალურად დაიწყო ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა. ჯერ ცოტა ვაჭრები არიან მოსულნი; საქონელი ნელ-ნელა ემატება ბაზარსა.

**ბელგრადი.** გუშინ ოფიციალური ნიშნობა იყო გარდახდილი მეფისა სასძლოს სახლში; წესს ასრულებდა მიტროპოლიტის თანადასწრებით იმ მრევლის მღვდელი, სადაც დედოფალი სცხოვრობს. ნიშნობას დაესწრნენ მეფისა და დედოფლის ნათესავები, კარის-კაცნი, მინისტრები მეუღლითურთ, ნესტოროვიჩი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნესტიჩი და სადიპლომატო კორპუსი. მთელის დღის განმავლობაში მოდიოდა სხვა და სხვა მხრიდგან მილოცვა და დეპუტაციები. გუშინ მეფემ 300 მასწავლებელი მიიღო, დღეს სტუდენტების დეპუტაცია. საღამოთი მიულოცეს ქალაქს წარმომადგენლებმა და წარჩინებულებმა, ვექილებმა, პროფესსორებმა და ვაჭრებმა. ქალაქის საბჭოს წევრის ივკოვიჩის სიტყვაზედ მეფემ პასუხად სთქვა, რომ არასდროს ბელგრადის მცხოვრებთ არ მიუძღვნიათ მისთვის უფრო სასიამოვნო წამს სალამი, ვიდრე დღეს, როდესაც დაკანონებულ იქმნა საეკკლესიო წესით მუდმივი კავშირი მისი იმ არსებასთან, რომელიც მას უყვარს მთელის თავისის არსებით. მეფემ განაცხადა, რომ მეუღლის ამორჩევაში იგი დაემორჩილა გულის თქმას, რათა სიყვარული ყოფილიყოს მეფის სახლობის ბედნიერების საფუძვლად. ქვეყანამაც და მანაც (მეფემ) კარგად იციან გამოცდილებით, თუ რა გავლენა აქვს მთელს ქვეყანაზედ, როცა მეფის სახლში უსიამოვნება ჰსუფევს. აქამდის სერბიის მეფეების კერძო ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკაზე, ამის შემდეგ ეს აღარ უნდა იყოს. პოლიტიკას თავისი გზა უნდა დაეთმოსო. მეფეს ჰსურს ჰქონდეს მყუდრო ოჯახი, რომ შეეძლოს მთელი თავისი ძალ-ღონე თავისს ქვეყანას შესწიროსო.

**ბრიუსელი.** ბელგიის კონსული, შანჰაიში მყოფი იტყობინება,—შენისგან დეპეშა მოვიდა, რომ პოსტინგფუში ყველა მისიონერები დახოცესო და მხოლოდ ბელგიელი მისიონერები გადარჩნენ ცოცხლები დასავლეთ მონგოლიაშიაო. შენი დასძენს, რომ თუ ევროპიელთა ჯარები პეკინისაკენ წავლენ, მთავრობა, უეჭველია, ხოინგანფუში გადავაო.

**ვაშინგტონი.** ჩიფუში მყოფი ამერიკის კონსული იტყობინება დეპეშით 13 ივლისს: „დღეს გამოვუცხადე შანდუნის გუბერნატორს მოკავშირეთა ადმირალების სურვილი, რომელნიც თხოულობენ, რომ პეკინიდგან ელჩებისაგან მიიღონ ცნობები. გუბერნატორმა მიპასუხა, დღეს მივიღე იმპერატორისაგან მოწერილობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ელჩები უვნებლად არიან და ჩინეთის მთავრობა მათ საზრდოს აძლევსო; იგი დარწმუნებულია, რომ ელჩები არავითარ შევიწროებას არა ჰგრძნობენ და ითხოვს ყოველივეეს შევატყობინო ადმირალებს. ხელმოწერილია იანშიკაი".

**ვაშინგტონი.** პეკინში მყოფ ამერიკელ კონსულის დეპეშა ყალბია. გარეშე საქმეთა სამინისტროში მოიპოვება საბუთები იმისა, რომ დეპეშა იანშიკაისა და შენის დაწერილია.

გამოცხადებულია შემდეგი დეპეშა: „შანხაი, 14 ივლისი. პეკინიდგან იტყობინებიან, რომ ელჩები ცოცხლები და უვნებლად არიან. მოკავშირეთა ჯარების პეკინში შესვლა საჭირო არ არის. ლიხუნჩანგი".

17 ივლისი

**პორტ არტური**. 12 ივლისი. ვიცე-ადმირალმა ალექსეევმა ტიანძინში მოკავშირეთა სამხედრო ბჭობა მოახდინა, განიხილეს ის საგანი, თუ ტიან-ძინი როგორ უნდა ჰმართონ განაგონ და ამის შესახებ გარდაწყვეტილი წესი უკვე შეიმუშავეს ტიან-ძინში დაშვებულს შენობებს უკვე აკეთებენ. ჩინეთის ჯარი სამ მხრივა სდგას ბანაკად; ჩინეთის ჯარს ბრძანება აქვს მიცემული, რომ ევროპიელნი პეკინისაკენ აღარ გაუშონ. შემდეგის მოქმედების საქმე ამ კვირას გარდასწყდება. გენერალი ლენევიჩი ამ ჟამად პორტ-არტურშია. ლენევიჩის კორპუსი მანცურიაში დაიწყებს მოქმედებას.

**შანხაი.** ხან-ჩეუს მახლობლად ხუნჩჟაუში 9 ინგლისელი მისსიონერი მოჰკლეს.

**ლონდონი.** გრუგეპრუბტიდგან იუწყებიან დეპეშით: „15 ივლისს ფრენჩმა მიდელბურგი დაიჭირა. პოლკერიუ გვარდიის ბრიგადითურთ ბრიუგსპრუიდს მოვიდა, რომელიც მიდელბურგიდგან 20 მილის მანძილზედ იმყოფება. 15 ივლისს გამოგზავნილი რობერტსის დეპეშა იუწყება: ბულლერის მოხსენების შესახებ, რომელიც იუწყებოდა, რომ 13 ივლისს ღამით ბურებმა ორჯერ მიიტანეს იერიში ვლაკის სიმაგრეზედ და უკუ-ქცეულ იქმნენო და აგრეთვე სამხედრო სამინისტროს საპასუხოდ, ვითომც მატარებელი დაეჭიროთ, რომლის შესახებაც წინად ხმა იყო გავრცელებული და ამბობდნენ, ვითომც ამ მატარებელში გეილენდერები იყვნენო, რობერტსი ამბობს, რომ 8 ივლისს ღამით კრონშტადტსა და მეინარე ვაალს შორის; მხოლოდ ერთი მატარებელი დაიჭირეს ამ მატარებელს საზრდო, 2 აფიცერი და 100 ვალიის მსროლელი ჯარი მიჰყავდაო.

**ლონდონი.** ჩინეთის საქმეების შესახებ ლურჯი წიგნი იქმნა გამოქვეყნებული.

**მონცა.** ჰიმნასტიურ თამაშობის საცქერლად გამოსულს მეფეს ჰუმბერტოს, კარეტაში ჩაჯდომის დროს სამი ტყვია მოარტყეს და ერთი ამათგანი გულში. მეფე 11 ნახევარ საათზედ გარდაიცვალა. მკვლელი ვიღაც ანჯელო ბრესსია პრატოდგან (ტოსკანიაში). მკვლელი იქვე შეიპყრეს და გაალმასებულს ხალხს ძლივს-ღა წაჰგლიჯეს ხელიდგან, რომელიც თავისებურად უპირებდა ანგირიშის გაწევას. დამნაშავე მაშინვე ურცხვად გამოტყდა, მე მოვკალიო.

**ბერლინი.** 15 ივლისს იუწყებიან ტოკიოდგან, რომ როგორც შანხაიდგან გვაცნობებენ, პაოშანთან „დიდი მუშტის" მისსიონერებსა და ადგილობრივს ქრისტიანებს თავს დაესხა მოჰკლა და აგრეთვე ერთი მკურნალი, რომლის ეროვნებაც ჯერ არავინ იცისო. 2000 ადგილობრივი ქრისტეანეა მოკლული; მათი სახლები მთლად დაქცეულია. ამას გარდა ამბობენ, რომ ჩინეთის გენერალმა ლიკონეხმა, რომელიც ამ ჟამად პეკინისაკენ მიდის, ჯარის-კაცებს ბრძანება მისცა გზაზედ არც ერთი ქრისტეანი არ დასტოვონ ცოცხალი; საფრანგეთის ერთი მოძღვარი და ორი თუ სამი ათასი ადგილობრივი ქრისტიანე უკვე მოკლულნი არიან. ყველას ეშინიან, რომ ჩინეთის გენერალის პეკინში გასვლა ჯარითურთ უცხოელი უფრო საშიშო მდგომარეობაში ჩააგდებს და დიდად შეავიწროვებს.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1900 წლის 18 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ავჭალის ქუჩიდგან პანკინის სახლამდე მალაკნების ქუჩაზედ, მე-10 ნაწილში, სიგრძით 180 ოთხკ. საჟ., ღირებულობით 4100 მანეთი.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გაიცნონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—ნ.—3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 18 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე კირპიჩნის ქუჩიდგან სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზედ ზდანევიჩის სახლამდე, 1 ნაწილში, სიგრძით 70 ოთხ კუთ. საჟ., სამუშაო სულ 1866 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გაიცნონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(2—ნ.—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე